## [მე-3 კლასის ტესტი]

**ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტი შედგება 4 სავარჯიშოსა და 1 ბონუს დავალებისგან. ტესტის გამსვლელი ქულაა 35.**

**#1 ილუსტრაციების ცნობა - ეს სავარჯიშო 30 ქულიანია და 10 საკითხისგან შედგება, შესაბამისად თითო საკითხის ქულა 3-ია.**

პირველ სავარჯიშოში მოცემულია ილუსტრაციები, მონაწილემ ჩამოთვლილთაგან უნდა აირჩიოს სურათის შესაბამისი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა.

**მაგალითად, მოცემულია:**

**Match the words with the pictures: What is he doing?**

(ნიმუში)  **A. drinking** B. eating C. painting

**#2 სიტყვის მართლწერა - ეს სავარჯიშო 20 ქულიანია და მასში 5 საკითხია, შესაბამისად თითო საკითხის ქულა 4-ია.**

მეორე სავარჯიშო მართლწერას ეხება. მოსწავლემ უნდა შემოხაზოს სწორად დაწერილი სიტყვა.

**მაგალითად, მოცემულია:**
**Which word is correct A, B or C?**
ვაშლი: **A. apple** B. aple C. aplle

**#3 სიტყვების თარგმნა - ამ სავარჯიშოში 10 საკითხია და ის 30 ქულიანია, შესაბამისად თითო საკითხის ქულა 3-ია.**

მესამე დავალებაში მონაწილემ უნდა შეარჩიოს ქართული სიტყვების სწორი ინგლისური თარგმანი.

**მაგალითად, მოცემულია:**
**Match A, B or C with the Georgian translation:**

წითელი: **A. red** B. green C. black

**#4 წინადადებების შევსება - ეს სავარჯიშო 10 საკითხისგან შედგება და 20 ქულიანია, შესაბამისად თითო საკითხის ქულა 2-ია.**

მეოთხე დავალება წინადადებების შევსებას ეხება.

**მაგალითად, მოცემულია:**
**Choose the word A.B or C that best completes the sentences:**
**I …. Dancing.** **A. love** B. live C. look

ეს სავარჯიშო 10 საკითხისგან შედგება და 20 ქულიანია.

ტესტს თან ახლავს **ბონუს დავალება**, რომელიც მონაწილეს საშუალებას აძლევს მოიპოვოს ბონუს ქულები.

ბონუს სავარჯიშო 5 საკითხისგან შედგება და 20 ქულიანია. ეს დავალება **ჩვენი პარტნიორებისგან წახალისებაა, რომ მოსწავლეებმა დააგროვონ დამატებითი ქულები.**

იმედია, ჩვენი მიმოხილვა დაგეხმარებათ უკეთ მოემზადოთ ოლიმპიადისთვის და გადახვიდეთ მომდევნო ტურში.

**დამატებით სამეცადინოდ ნახეთ ოლიმპიადის მოსამზადებელი კურსი**

კურსის ნახვა

**მოსამზადებელი კურსის უპირატესობები:**

✅ **ოლიმპიადის სტრუქტურის იდენტური სტრუქტურა** - მოსწავლე მეცადინეობს ოლიმპიადის მსგავს საკითხებში;

✅ **შედეგების გადახედვა** - ტესტის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეუძლია გადახედოს ტესტს და გაიგოს რა შეეშალა;

✅ **დროის მთვლელი** - ტესტებს აქვს დროის მთვლელი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ისწავლოს დროის მართვა;

**ჩვენ კინგსელები ვართ და ჩვენი წარმატება გვაერთიანებს!**